

მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი 2410

სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

(ძალაში შედის 2006 წ. 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვისათვის)

შინაარსი

	პუნქტები
შესავალი	1-3
შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ზოგადი პრინციპები	4-6
შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის გარიგების მიზანი	7-9
გარიგების პირობების შეთანხმება	10-11
შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის პროცედურები	12-29
უზუსტობების შეფასება	30-33
ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილი	34-35
აუდიტორის პასუხისმგებლობა თანდართულ ინფორმაციაზე	36-37
ინფორმირება	38-42
ანგარიშის შედგენა შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის არსზე, მასშტაბებსა და შედეგებზე	43-63
დოკუმენტაცია	64
ძალაში შესვლის თარიღი	65
1-ლი დანართი: შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის გარიგების წერილის ნიმუში	
მე-2 დანართი: ანალიზური პროცედურები, რომლის გათვალისწინებაც აუდიტორს შეუძლია შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დროს	
მე-3 დანართი: ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის ნიმუში	
მე-4 დანართი: შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები	
მე-5 დანართი: ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლებიდან გადახვევით გამოწვეული პირობითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები	
მე-6 დანართი: პირობითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები, გაცემული მიმოხილვის მასშტაბის შეზღუდვის ნიადაგზე, რაც გამოწვეული არ არის ხელმძღვანელობის მიერ	
მე-7 დანართი: ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლებიდან გადახვევით გამოწვეული უარყოფითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები	

მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მგსს) 2410 – „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“ - უნდა განიხილებოდეს „ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების წინასიტყვაობასთან“ - ერთად.

შესავალი

1. მიმოხილვის გარიგებების წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის (მგს) მიზანია სტანდარტებისა და მითითებების დადგენა აუდიტორის პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ეკისრება აუდიტის დამკვეთისათვის შესრულებულ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის გარიგებაში, ასევე ანგარიშის ფორმასა და შინაარსზე. ამ მგს-ში გამოიყენება ტერმინი „აუდიტორი“, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ აუდიტორი აუდიტს ატარებს, არამედ იმიტომ, რომ წინამდებარე მგს-ის მოქმედების სფერო შემოიფარგლება სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვით.
2. წინამდებარე მგს-ის მიზნებისთვის, შუალედური ფინანსური ინფორმაცია არის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადებული და წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების¹ შესაბამისად და შედგება სუბიექტის ფინანსურ წელთან შედარებით უფრო ხანმოკლე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების სრული ან შემოკლებული პაკეტისაგან.
3. **აუდიტორმა, რომელიც დაქირავებულია შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩასატარებლად, მიმოხილვა უნდა ჩაატაროს წინამდებარე მგს-ის შესაბამისად.** წლიური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვაში აუდიტორი შეისწავლის სუბიექტსა და მის გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლს. როდესაც აუდიტორს შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩასატარებლად იწვევენ, ეს ცოდნა განახლდება მიმოხილვის პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით, რაც აუდიტორს ეხმარება ჩასატარებელი გამოკითხვების, ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ორიენტაციის განსაზღვრაში. პრაქტიკოსი, რომელიც მოწვეულია შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩასატარებლად და არ არის ამ სუბიექტის აუდიტორი, მიმოხილვას ატარებს მგს 2400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ“ - შესაბამისად. თუ პრაქტიკოსს არა აქვს იმავე დონის ცოდნა სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიდა კონტროლის შესახებ, როგორც სუბიექტის აუდიტორს, მიმოხილვის მიზნის შესასრულებლად მან განსხვავებული გამოკითხვები და პროცედურები უნდა ჩაატაროს.
- 3ა. წინამდებარე მგს ეხება შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას, რომელიც ჩაატარა სუბიექტის აუდიტორმა. თუმცა, მისი გამოყენება შესაძლებელია, აუცილებლობის შემთხვევაში ადაპტირებული სახით, ისეთ გარემოებებში, როდესაც სუბიექტის აუდიტორი ატარებს გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას, რომელიც არ არის აუდიტის დამკვეთის შუალედური ფინანსური ინფორმაცია.²

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ზოგადი პრინციპები

4. **აუდიტორმა უნდა დაიცვას სუბიექტის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესაფერისი ეთიკური მოთხოვნები.** აღნიშნული ეთიკური მოთხოვნები აუდიტორის პროფესიულ პასუხისმგებლობას მართავს შემდეგ სფეროებში: დამოუკიდებლობა, პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება, კონფიდენციალურობა, პროფესიული ქცევა და ტექნიკური სტანდარტები.
5. **აუდიტორმა უნდა განახორციელოს ინდივიდუალური გარიგების შესაფერისი ხარისხის კონტროლის პროცედურები.** ცალკეული გარიგების შესაფერისი ხარისხის კონტროლის ელემენტები მოიცავს გარიგების ხარისხზე პასუხისმგებლობის მართვას, ეთიკურ მოთხოვნებს, დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებას, გარიგების გუნდების დაკომპლექტებას, გარიგების შესრულებასა და მონიტორინგს.

¹ მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

² პუნქტი 3ა და მე-4 სქოლიო ამ მგს-ს დაემატა 2007 წლის დეკემბერში, სტანდარტის გამოყენების სფეროს დაზუსტების მიზნით.

6. აუდიტორმა მიმოხილვა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს პროფესიული სკეპტიციზმით, იმის გაცნობიერებით, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, რომელთა გამო შუალედური ფინანსური ინფორმაცია საჭიროებს არსებით შესწორებას, რათა ის მომზადებული იყოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედება ნიშნავს, რომ პრაქტიკოსი მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების დასაბუთებულებას კრიტიკულად აფასებს, ეჭვის თვალთ უყურებს და ფხიზლად არის ისეთი მტკიცებულებების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგება ან ეჭვს ბადებს დოკუმენტების ან ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის საიმედოობაზე.

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის გარიგების მიზანი

7. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის მიზანია, აუდიტორს მისცეს საშუალება მიმოხილვის საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, მიიქცია თუ არა აუდიტორის ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც მას დაარწმუნებდა, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებული არ არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. აუდიტორი ატარებს გამოკითხვებს, ანალიზურ პროცედურებსა და მიმოხილვის სხვა პროცედურებს, რათა ზომიერ დონემდე შეამციროს რისკი იმისა, რომ გამოიტანს არასათანადო დასკვნას მაშინ, როდესაც შუალედური ფინანსური ინფორმაცია არსებითად მცდარია.
8. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის მიზანი მნიშვნელოვნად განსხვავდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად ჩატარებული აუდიტის მიზნისგან. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა არ უზრუნველყოფს ისეთ საფუძველს, რომ აუდიტორმა გამოთქვას მოსაზრება იმის შესახებ, ფინანსური ინფორმაცია ასახავს თუ არა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, ან წარდგენილია თუ არა სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად.
9. აუდიტისგან განსხვავებით, მიმოხილვა განკუთვნილი არ არის დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს არსებით უზუსტობას. მიმოხილვა ითვალისწინებს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პერსონალის, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვამ შეიძლება გამოავლინოს და აუდიტორის ყურადღების ცენტრში მოახვედროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, მაგრამ არ იძლევა ყველა ისეთ მტკიცებულებას, რომელიც საჭირო იქნებოდა აუდიტში.

გარიგების პირობების შეთანხმება

10. აუდიტორი და დამკვეთი უნდა შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე.
11. ჩვეულებრივ, გარიგების შეთანხმებული პირობები ფორმდება გარიგების წერილით. ამგვარი ინფორმირება საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული გარიგების ხასიათთან დაკავშირებული გაუგებრობები, კერძოდ, მიმოხილვის მიზნისა და მასშტაბის, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის, აუდიტორის პასუხისმგებლობის ხარისხის, მოპოვებული რწმუნების, დასკვნის ხასიათისა და ფორმის არასწორი გაგება.

ინფორმირება გარიგების წერილის მეშვეობით, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის მიზანს;
- მიმოხილვის მასშტაბს;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებისთვის შესაფერისი ეფექტიანი შიდა კონტროლის დანერგვასა და მუშაობაზე;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას ყველა ფინანსური ჩანაწერის წარმოებასა და აუდიტორისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაზე;

- ხელმძღვანელობის თანხმობას, აუდიტორს მიაწოდოს ოფიციალური წერილი იმ ინფორმაციის დასადასტურებლად, რომელიც სიტყვიერად აცნობა მიმოხილვის პროცესში, ასევე სუბიექტის ჩანაწერებში ნაგულისხმევი ინფორმაციის დასადასტურებლად;
- წარსადგენი ანგარიშის სავარაუდო ფორმასა და შინაარსს, მათ შორის ანგარიშის ადრესატის განსაზღვრას.
- ხელმძღვანელობის თანხმობას იმის შესახებ, რომ როდესაც შუალედური ფინანსური ინფორმაციის შემცველი რომელიმე დოკუმენტიდან ჩანს, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია სუბიექტის აუდიტორმა მიმოხილა, მიმოხილვის ანგარიშიც უნდა ჩაირთოს ამ დოკუმენტში.

წინამდებარე მგს-ის 1-ელ დანართში მოცემულია გარიგების წერილის საილუსტრაციო ნიმუში. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის გარიგების პირობები ასევე შეიძლება გაერთიანდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე დადებული გარიგების პირობებთან.

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის პროცედურები

სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესწავლა

12. აუდიტორმა იმ დონეზე უნდა შეისწავლოს სუბიექტი და მისი გარემო, მათ შორის შიდა კონტროლი, რამდენადაც ეს უკავშირდება წლიური და შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებას და რაც საკმარისი იქნება გარიგების დასაგეგმად და შესასრულებლად ისე, რომ შეძლოს:
 - ა) პოტენციური არსებითი უზუსტობების ტიპების განსაზღვრა და მათი ხდომილობის ალბათობის გათვალისწინება; და
 - ბ) გამოკითხვების, ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფს მას სათანადო საფუძვლით დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, მიიქცია თუ არა აუდიტორის ყურადღება რაიმე ისეთმა ფაქტმა, რაც დაარწმუნებდა მას, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
13. როგორც მოითხოვება ასს 315-ით (გადასინჯული) - „სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლა და არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება“ - აუდიტორი, რომელმაც სუბიექტის ერთზე მეტი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა, იმ დონეზე იქნება ინფორმირებული სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ, რამდენადაც ეს უკავშირდება წლიური ფინანსური ინფორმაციის მომზადებას და რაც საკმარისი იყო აუდიტის ჩასატარებლად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დაგეგმვის დროს აუდიტორი განახლებს ამ ცოდნას. აუდიტორი იმ დონეზე ეცნობა შიდა კონტროლსაც, რამდენადაც ეს უკავშირდება შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებას, რადგან იგი შეიძლება განსხვავდებოდეს წლიურ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული შიდა კონტროლისაგან.
14. აუდიტორი სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ შეძენილ ცოდნას იყენებს ჩასატარებელი გამოკითხვების, ანალიზური და მიმოხილვის სხვა პროცედურების განსასაზღვრად და იმ კონკრეტული მოვლენების, ოპერაციების ან მტკიცებების დასადგენად, რომელთაც უნდა დაუკავშიროს გამოკითხვები, ან ანალიზური პროცედურები და მიმოხილვის სხვა პროცედურები.
15. აუდიტორის მიერ ჩატარებული პროცედურები, რომელთა მიზანია ცოდნის განახლება სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ, ჩვეულებრივ მოიცავს:
 - წინა წლის აუდიტის, მიმდინარე წლის წინა შუალედური პერიოდისა (პერიოდების) და წინა წლის შესაბამისი შუალედური პერიოდის (პერიოდების) მიმოხილვების დოკუმენტაციის გაცნობას აუცილებელ დონეზე, რაც აუდიტორს ისეთი საკითხების განსაზღვრაში დაეხმარება, რომლებიც გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე;

- მნიშვნელოვანი რისკების განხილვას, მათ შორის ხელმძღვანელობის მიერ კონტროლის პროცედურების გვერდის ავლის რისკის განხილვას, რომელიც გამოვლინდა წინა წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში;
 - ყველაზე უახლესი პერიოდის წლიური და წინა პერიოდის შესადარისი შუალედური ფინანსური ინფორმაციის გაცნობას;
 - არსებითობის განხილვას ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერის საფუძვლებთან მიმართებით, რამდენადაც ის უკავშირდება შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას, რათა ეს დაეხმაროს ჩასატარებელი პროცედურების ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრაში და უზუსტობების შედეგების შეფასებაში;
 - წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორებული ნებისმიერი არსებითი უზუსტობისა და გამოვლენილი შეუსწორებელი არარსებითი უზუსტობის განხილვას;
 - ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, რომლებიც შეიძლება ახლაც მნიშვნელოვანი იყოს, როგორცაა, მაგალითად შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები;
 - მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტის პროცედურების შედეგების განხილვას;
 - ჩატარებული შიდა აუდიტისა და ხელმძღვანელობის მიერ შემდგომში გატარებული ღონისძიებების შედეგების განხილვას;
 - ხელმძღვანელობის გამოკითხვას მის მიერ ჩატარებული რისკის შეფასების შედეგების შესახებ, კერძოდ, იმის რისკის, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შეიძლება არსებითად მცდარი იყოს თაღლითობის გამო;
 - ხელმძღვანელობის გამოკითხვას სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების შედეგების შესახებ;
 - ხელმძღვანელობის გამოკითხვას შიდა კონტროლში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და ამ ცვლილებების პოტენციური გავლენის შესახებ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე;
 - ხელმძღვანელობის გამოკითხვას იმ პროცედურების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც მომზადდა შუალედური ფინანსური ინფორმაცია, ასევე იმ ბუღალტრული ჩანაწერების საიმედოობის შესახებ, რომელსაც თანხვდება ან შეესაბამება შუალედური ფინანსური ინფორმაცია;
16. აუდიტორი განსაზღვრავს სუბიექტის კომპონენტებზე (თუ ასეთი არსებობს) ჩასატარებელი მიმოხილვის პროცედურების ხასიათს და, საჭიროების შემთხვევაში, ამ საკითხების შესახებ აცნობებს მიმოხილვაში მონაწილე სხვა აუდიტორებს. განსახილველი ფაქტორები მოიცავს კომპონენტების შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში უზუსტობის არსებითობასა და რისკს და აუდიტორის ინფორმირებულობის დონეს იმის შესახებ, რამდენად არის ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული ასეთი ინფორმაციის მომზადებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლი.
17. იმისათვის, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა დაგეგმოს და ჩატაროს ახლადდანიშნულმა აუდიტორმა, რომელსაც ჯერ არ ჩატარებია წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ასს-ის შესაბამისად, მან უნდა შეისწავლოს სუბიექტი და მისი გარემო, მათ შორის მისი შიდა კონტროლი იმ დონეზე, რამდენადაც ეს უკავშირდება როგორც წლიური, ასევე შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებას.
18. ამის ცოდნა აუდიტორს საშუალებას აძლევს, აქცენტი გადაიტანოს გამოკითხვებზე, ანალიზურ და მიმოხილვის სხვა პროცედურებზე, რომლებიც გამოიყენება შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩასატარებლად წინამდებარე მგსს-ის შესაბამისად. სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის პროცესში აუდიტორი, ჩვეულებრივ, ატარებს წინამორბედი აუდიტორის გამოკითხვას და, თუ შესაძლებელია, მიმოხილავს წინამორბედი აუდიტორის დოკუმენტაციას წინა წლიური აუდიტის შესახებ და მიმდინარე წლის ნებისმიერი წინა შუალედური პერიოდების შესახებ, რომლებიც მიმოხილია წინამორბედმა აუდიტორმა. გარდა ამისა, აუდიტორი ითვალისწინებს წინამორბედი აუდიტორის მიერ აგრეგირებული ნებისმიერი შესწორებული და

შეუსწორებელი უზუსტობის ხასიათს, მნიშვნელოვან რისკებს, მათ შორის, იმის რისკს, რომ ხელმძღვანელობა გვერდს აუვლის კონტროლის პროცედურებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შეიძლება ახლაც მნიშვნელოვანი იყოს, როგორცაა, მაგალითად შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

გამოკითხვები, ანალიზური პროცედურები და მიმოხილვის სხვა პროცედურები

19. აუდიტორმა უნდა ჩაატაროს გამოკითხვები, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურები და მიმოხილვის სხვა პროცედურები, რაც საშუალებას მისცემს, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, მიიქცია თუ არა აუდიტორის ყურადღება ისეთმა რამემ, რაც მას დაარწმუნებდა, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
20. ჩვეულებრივ, მიმოხილვა არ მოითხოვს ბუღალტრული ჩანაწერების ტესტირებას ინსპექტირების, დაკვირვების ან დადასტურების მეშვეობით. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის პროცედურები, როგორც წესი, შემოიფარგლება გამოკითხვებით, ძირითადად იმ პირების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე, ასევე ანალიზური და მიმოხილვის სხვა პროცედურებით, რამდენადაც მოსაპოვებელი დამადასტურებელი ინფორმაცია ეხება შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვან საკითხებს. სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ აუდიტორის ინფორმირებულობა, წინა აუდიტთან დაკავშირებული რისკების შეფასებები და აუდიტორის მოსაზრება არსებობის საკითხზე, რამდენადაც ეს უკავშირდება შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას, გავლენას ახდენს ჩატარებული გამოკითხვების, ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე.
21. ჩვეულებრივ, აუდიტორი ატარებს შემდეგ პროცედურებს:
 - ეცნობა აქციონერთა კრებების, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების სხდომებისა და სხვა შესაფერისი კომიტეტების სხდომების ოქმებს, რათა დაადგინოს ისეთი საკითხები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე; ატარებს გამოკითხვებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც განხილული იყო სხდომებზე, მაგრამ რომელთა შესახებ არ არსებობს ოქმები და შესაძლოა გავლენას ახდენდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე;
 - იხილავს იმ საკითხების გავლენას, რომელთაც წინა აუდიტის ან მიმოხილვის დროს განაპირობეს აუდიტის ან მიმოხილვის ანგარიშის მოდიფიკაცია, ასევე ბუღალტრულ აღრიცხვაში შეტანილ შესწორებებს ან შეუსწორებელ უზუსტობებს;
 - საჭიროების შემთხვევაში, უკავშირდება სხვა აუდიტორებს, რომლებიც ატარებენ ანგარიშვალდებული სუბიექტის მნიშვნელოვანი კომპონენტების შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას;
 - ატარებს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პერსონალის გამოკითხვას, თუ მიზანშეწონილია, სხვების გამოკითხვასაც, შემდეგ საკითხებზე:
 - შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული და წარდგენილი იყო თუ არა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად;
 - შეიცვალა თუ არა რაიმე ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებში ან მათი გამოყენების მეთოდებში;
 - ხომ არ გამოიწვია ახალმა ოპერაციებმა აღრიცხვის ახალი პრინციპის გამოყენების აუცილებლობა;

სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული
შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

- შეიცავს თუ არა შუალედური ფინანსური ინფორმაცია ცნობილ შეუსწორებელ უზუსტობებს;
 - უჩვეულო ან რთული სიტუაციები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონია შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, როგორცაა, მაგალითად, საწარმოთა გაერთიანება ან სამეურნეო სეგმენტის გაყიდვა;
 - მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით შეფასებისათვის, ან განმარტებითი შენიშვნები, ასევე ხელმძღვანელობის განზრახვა და შესაძლებლობა, გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები სუბიექტის სახელით;
 - სათანადოდ აღირიცხა და განიმარტა თუ არა შუალედური ფინანსური ინფორმაციის შენიშვნებში დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები;
 - ვალდებულებებში და სახელშეკრულებო მოვალეობებში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები;
 - პირობით ვალდებულებებში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის სასამართლო პროცესები ან პრეტენზიები;
 - სასესხო შეთანხმებების პირობების შესრულება;
 - საკითხები, რომელთა შესახებაც კითხვები გაჩნდა მიმოხილვის პროცედურების ჩატარების პროცესში;
 - მნიშვნელოვანი ოპერაციები, რომლებიც შესრულდა შუალედური პერიოდის ბოლო რამდენიმე დღეში, ან მომდევნო შუალედური პერიოდის პირველ რამდენიმე დღეში;
 - ინფორმაცია რაიმე თაღლითობის ან საეჭვო თაღლითობის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს სუბიექტზე და რომელშიც მონაწილეობს:
 - ხელმძღვანელობა;
 - თანამშრომლები, რომლებიც მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ შიდა კონტროლში; ან
 - სხვები, როდესაც თაღლითობას არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე.
 - ინფორმაცია დამტკიცებული ან საეჭვო თაღლითობის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს სუბიექტის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომლის შესახებაც აცნობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა ან სხვებმა;
 - ინფორმაცია კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების რაიმე ფაქტობრივი ან შესაძლო დარღვევის შესახებ, რომელიც არსებით გავლენას ახდენს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე.
- ატარებს ანალიზურ პროცედურებს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა დაადგინოს ისეთი თანაფარდობები და ცალკეული მუხლები, რომლებიც არაორდინარული ჩანს და შეიძლება ასახავდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში არსებულ არსებით უზუსტობას. ანალიზური პროცედურები შეიძლება მოიცავდეს კოეფიციენტების ანალიზს და სტატისტიკური ტექნიკის გამოყენებას, როგორცაა, მაგალითად ტენდენციების ანალიზი ან რეგრესიული ანალიზი და შეიძლება შესრულდეს ხელით ან კომპიუტერის მეშვეობით. წინამდებარე მგსს-ის მე-2 დანართში მოცემულია ანალიზური პროცედურების მაგალითები, რომლის გათვალისწინება შეუძლია აუდიტორს შუალედურ ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დროს;
 - ეცნობა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასა და მსჯელობს, ხომ არ მიიქცია მისი ყურადღება ისეთმა რამემ, რაც დაარწმუნებდა, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

- აუდიტორს მიმოხილვის ბევრი პროცედურის ჩატარება შეუძლია იქამდე, სანამ სუბიექტი მოამზადებს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას, ან ამ ინფორმაციის მომზადების პარალელურად. მაგალითად, შუალედური პერიოდის დამთავრებამდე შეიძლება შესაძლებელი იყოს ინფორმაციის განახლება სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ და სათანადო ოქმების განხილვის დაწყება. მიმოხილვის ზოგიერთი პროცედურის ჩატარება შუალედური პერიოდის დასაწყისში ასევე იმის საშუალებასაც იძლევა, რომ აუდიტორმა ადრე განსაზღვროს და განიხილოს ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე
 - აუდიტორი, რომელიც შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას ატარებს, ასევე დაკავებულია სუბიექტის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებითაც. მოხერხებულობისა და სამუშაოს ნაყოფიერად წარმართვის მიზნით, აუდიტორმა შეიძლება გადაწყვიტოს გარკვეული აუდიტის პროცედურების ჩატარება შუალედური ფინანსურ ინფორმაციის მიმოხილვის პარალელურად. მაგალითად, შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვასთან დაკავშირებით დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმების გაცნობით შეკრებილი ინფორმაციის გამოყენება ასევე შეიძლება წლიურ აუდიტშიც. შუალედური მიმოხილვის დროს აუდიტორმა შეიძლება ასევე გადაწყვიტოს აუდიტის პროცედურების ჩატარებაც, რომლებიც საჭირო იქნებოდა წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. მაგალითად, აუდიტის პროცედურების ჩატარება მნიშვნელოვან ან არაორდინარულ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულდა მოცემულ პერიოდში, როგორცაა, საწარმოთა გაერთიანება, რესტრუქტურირება ან მნიშვნელოვანი შემოსავლების მომტანი ოპერაციები.
24. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა, ჩვეულებრივ, არ მოითხოვს სასამართლო პროცესების ან პრეტენზიების შესახებ ჩატარებული გამოკითხვების დამტკიცებას. ამდენად, როგორც წესი, აუცილებელი არ არის გამოკითხვის წერილის გაგზავნა სუბიექტის ადვოკატისთვის. თუმცა, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სუბიექტის ადვოკატთან პირდაპირ დაკავშირება სასამართლო პროცესთან ან პრეტენზიასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორის ყურადღებას მიიქცევს ისეთი რამ, რაც დააეჭვებს, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით და აუდიტორი დარწმუნებულია, რომ სუბიექტის ადვოკატს შეიძლება ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია.
25. აუდიტორმა უნდა შეკრიბოს მტკიცებულებები იმის თაობაზე, თანხდება თუ არა შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესაბამის ბუღალტრულ ჩანაწერებს. აუდიტორმა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია თანხდება ან შეესაბამება შესაბამის ბუღალტრულ ჩანაწერებს, შეიძლება შეკრიბოს შუალედური ფინანსური ინფორმაციის გამოკვლევით:
- ა) ბუღალტრულ ჩანაწერებამდე, როგორცაა: მთავარი წიგნი, ან კონსოლიდაციის ცხრილები, რომლებიც თანხდება ან შეესაბამება ბუღალტრულ ჩანაწერებს;
 - ბ) სხვა პირველად მონაცემებამდე სუბიექტის ჩანაწერებში, აუცილებლობის შემთხვევაში.
26. აუდიტორმა უნდა გამოიკითხოს, დაადგინა თუ არა ხელმძღვანელობამ მიმოხილვის ანგარიშის თარიღამდე მომხდარი ყველა მოვლენა, რომელიც შეიძლება ითხოვდეს შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორებას ან მასზე განმარტებითი შენიშვნების სახით ინფორმაციის დართვას. აუცილებელი არ არის, რომ აუდიტორმა სხვა პროცედურები ჩაატაროს მიმოხილვის ანგარიშის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების დასადგენად.
27. აუდიტორმა უნდა გამოიკითხოს, შეცვალა თუ არა ხელმძღვანელობამ თავისი შეფასება სუბიექტის უნარის შესახებ, განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. როდესაც ამ გამოკითხვის ან მიმოხილვის სხვა პროცედურების შედეგად აუდიტორისათვის ცნობილი გახდება ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სუბიექტის უნარის შესახებ, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აუდიტორმა უნდა:
- ა) ჩაატაროს ხელმძღვანელობის გამოკითხვა მისი სამომავლო ღონისძიებების გეგმების შესახებ, რომელიც ეყრდნობა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების

შეფასებას, ასევე ამ გვეგების რეალურობის შესახებ და დარწმუნებულია თუ არა ხელმძღვანელობა, რომ ამ გვეგების შედეგები სიტუაციას გააუმჯობესებს; და

ბ) განიხილოს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში ამ საკითხების ირგვლივ წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობის საკითხი.

28. მოვლენები ან პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სუბიექტის უნარის შესახებ, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, შეიძლება არსებობდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, ან გამოვლინდეს ხელმძღვანელობის გამოკითხვების ან მიმოხილვის სხვა პროცედურების შედეგად. როდესაც აუდიტორის ყურადღებას მიიქცევს ამგვარი მოვლენები ან პირობები, იგი ატარებს ხელმძღვანელობის გამოკითხვას მისი სამომავლო ღონისძიებების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, მისი გვეგები აქტივების ლიკვიდაციის შესახებ, ფულის სესხებაზე ან ვალის რესტრუქტურისაზე, დანახარჯების შემცირებაზე ან შეჩერებაზე, ან კაპიტალის გაზრდაზე. აუდიტორი ასევე იკვლევს ხელმძღვანელობის გვეგების რეალურობას და დარწმუნებულია თუ არა ხელმძღვანელობა იმაში რომ, ამ გვეგების შედეგები სიტუაციას გააუმჯობესებს. თუმცა, როგორც წესი, აუცილებელი არ არის, რომ აუდიტორმა დაამტკიცოს ხელმძღვანელობის გვეგების რეალურობა და ამ გვეგების შედეგები გააუმჯობესებს თუ არა სიტუაციას.
29. როდესაც აუდიტორის ყურადღებას მიიქცევს საკითხი, რომელიც ეჭვს გაუჩენს იმის თაობაზე, აუცილებელია თუ არა არსებითი შესწორების შეტანა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში იმისათვის, რომ ის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებული იყოს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს დამატებითი გამოკითხვები ან სხვა პროცედურები, რათა შეძლოს დასკვნის წარდგენა მიმოხილვის ანგარიშში. მაგალითად, თუ აუდიტორს ჩატარებული პროცედურები დააეჭვებს, რომ მნიშვნელოვანი გაყიდვის ოპერაციები აღრიცხული არ არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად, აუდიტორი ატარებს დამატებით პროცედურებს, რაც საკმარისი იქნება მისი კითხვების გადასაჭრელად, მაგალითად, ოპერაციის პირობების განხილვა მარკეტინგის განყოფილებისა და ბუღალტერიის უფროს პერსონალთან ერთად, ან გაყიდვის ხელშეკრულების გაცნობა.

უზუსტობების შეფასება

30. აუდიტორმა უნდა შეაფასოს, ცალ-ცალკე ან აგრეგირებულად, არის თუ არა არსებითი შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით შეუსწორებელი უზუსტობები, რომელიც აუდიტორის ყურადღების ქვეშ მოექცა.
31. აუდიტისგან განსხვავებით, შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გამიზნული არ არის დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს არსებით უზუსტობას. თუმცა, უზუსტობებს, რომლებიც აუდიტორის ყურადღების ქვეშ მოექცევა, მათ შორის, არაადეკვატურ განმარტებით შენიშვნებს, აუდიტორი აფასებს ცალ-ცალკე და აგრეგირებულად, რათა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა არსებითი შესწორების შეტანა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში იმისათვის, რომ ის მომზადებული იყოს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
32. აუდიტორი მიმართავს პროფესიულ განსჯას, როდესაც აფასებს რომელიმე უზუსტობის არსებითობას, რომელიც სუბიექტს არა აქვს შესწორებული. აუდიტორი იხილავს უზუსტობების ხასიათს, მიზეზსა და სიდიდეს, საიდან მოდის უზუსტობა, წინა წლიდან თუ მიმდინარე წლის შუალედური პერიოდიდან, ასევე ამ უზუსტობების გავლენას მომავალ შუალედურ ან წლიურ პერიოდებზე.
33. აუდიტორმა შესაძლოა განსაზღვროს თანხის სიდიდე, რომლის ქვემოთ უზუსტობები არ უნდა გაერთიანდეს, რადგან აუდიტორი ვარაუდობს, რომ ამგვარი თანხების აგრეგირება აშკარად არ იქონიებს არსებით გავლენას შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე. ამ დროს აუდიტორი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ არსებითობის განსაზღვრა გულისხმობს როგორც რაოდენობრივი,

ასევე ხარისხობრივი საკითხების განხილვას და შედარებით მცირე სიდიდის უზუსტობები ვერას-
დროს მოახდენს არსებით გავლენას შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე.

ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილი

34. აუდიტორმა უნდა მოიპოვოს ოფიციალური წერილი ხელმძღვანელობისაგან იმის შესახებ, რომ:
- ა) ის აღიარებს თავის პასუხისმგებლობას შიდა კონტროლის დანერგვასა და მუშაობაზე, თაღლითობისა და შეცდომის თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად;
 - ბ) შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული და წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად;
 - გ) ის დარწმუნებულია, რომ აუდიტორის მიერ მიმოხილვის პროცესში აგრეგირებული შეუსწორებელი უზუსტობები არსებითი არ არის, არც ცალ-ცალკე და არც ერთად აღებული მთლიანად შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით. ამგვარი მუხლების მოკლე მიმოხილვა ჩაირთვება ხელმძღვანელობის წერილში ან მას დაერთვის;
 - დ) მან აუდიტორს გაუმხილა ხელმძღვანელობისათვის ცნობილი ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც უკავშირდებოდა თაღლითობას ან საეჭვო თაღლითობას, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა სუბიექტზე;
 - ე) მან აუდიტორს გაუმხილა მის მიერ ჩატარებული რისკების შეფასების შედეგები იმის შესახებ, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შეიძლება არსებითად მცდარი იყოს თაღლითობის გამო.³
 - ვ) მან აუდიტორს გაუმხილა ყველა ცნობილი ფაქტობრივი თუ შესაძლო შეუსაბამო კანონმდებლობასთან, რომლის შედეგები გასათვალისწინებელი იყო შუალედურ ფინანსურ ინფორმაციის მომზადებისას; და
 - ზ) მან აუდიტორს გაუმხილა ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მიმოხილვის ანგარიშის თარიღამდე მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც შეიძლება გამოეწვია შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორება ან განმარტებების აუცილებლობა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
35. აუდიტორი მოიპოვებს დამატებით ოფიციალურ წერილს, თუ ამის გაკეთება მიზანშეწონილია იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც დამახასიათებელია სუბიექტის ბიზნესის ან დარგისათვის. ხელმძღვანელობის წერილის საილუსტრაციო ნიმუში მოცემულია წინამდებარე მგსს-ის მე-3 დანართში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა თანდართულ ინფორმაციაზე

36. აუდიტორი უნდა გაეცნოს სხვა ინფორმაციას, რომელიც დაერთვის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას, რათა განიხილოს, ხომ არ არის ეს ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან. თუ აუდიტორი დაადგენს არსებით შეუსაბამობას, იგი იხილავს, საჭიროებს თუ არა შესწორებას შუალედური ფინანსური ინფორმაცია ან „სხვა ინფორმაცია“. თუ აუცილებელია შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორება და ხელმძღვანელობა უარს ამბობს ამაზე, აუდიტორი განიხილავს ამის გავლენას მიმოხილვის ანგარიშზე. თუ შესწორება აუცილებელია სხვა ინფორმაციაში და ხელმძღვანელობა უარს ამბობს შესწორებაზე, აუდიტორი იხილავს მიმოხილვის ანგარიშში დამატებითი აზრის ჩართვის საკითხს, სადაც აღწერილი იქნება არსებითი შეუსაბამობა, ან სხვა ზომებს, როგორცაა, მაგალითად უარი მიმოხილვის ანგარიშის

3. ასს 240-ის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“ - 36-ე პუნქტი განმარტავს, რომ ამგვარი შეფასების ხასიათი, მოცულობა და სიხშირე სხვადასხვა სუბიექტში სხვადასხვანაირია და ხელმძღვანელობამ შეიძლება დეტალური შეფასება გააკეთოს წელიწადში ერთხელ, ან როგორც უწყვეტი მონიტორინგის პროცესის ნაწილი. შესაბამისად, ამგვარი ინფორმაცია, იმის მიუხედავად, რომ ის დაკავშირებულია შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან, მაინც ეყრდნობა სუბიექტისთვის სპეციფიკურ გარემოებებს.

გაცემაზე ან გარიგებიდან გამოსვლა. მაგალითად, ხელმძღვანელობამ შეიძლება წარმოადგინოს შემოსავლების სხვა შეფასებები, რომელიც უფრო დადებითად წარმოაჩენს ფინანსურ შედეგებს, ვიდრე შუალედური ფინანსური ინფორმაცია და ამგვარ ალტერნატიულ შეფასებებს მინიჭებული ჰქონდეს გადაჭარბებული მნიშვნელობა, არ იყოს ნათლად განსაზღვრული, ან ნათლად არ იყოს შესაბამისობაში მოყვანილი შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან, რადგან ბუნდოვანია და პოტენციურად მცდარი.

37. თუ აუდიტორის ყურადღებას მიიქცევს ისეთი საკითხი, რომელიც დაარწმუნებს, რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას, აუდიტორმა საკითხი უნდა განიხილოს ხელმძღვანელობასთან ერთად. როდესაც აუდიტორი სხვა ინფორმაციას ეცნობა არსებითი შეუსაბამოების გამოვლენის მიზნით, შეიძლება აშკარა არსებითი უზუსტობის ფაქტი მოექცეს მისი ყურადღების ქვეშ (მაგ., ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული არ არის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში ნაჩვენებ საკითხებთან და არასწორად არის ახსნილი ან წარმოდგენილი). როდესაც აუდიტორი ხელმძღვანელობასთან ერთად იხილავს საკითხს, ის ითვალისწინებს „სხვა ინფორმაციის“ დასაბუთებულობას და ხელმძღვანელობის მიერ აუდიტორის გამოკითხვებზე გაცემულ პასუხებს, ასევე, არსებობს თუ არა საფუძვლიანი განსხვავებები განსჯაში ან მოსაზრებებში და საჭიროა თუ არა მოსთხოვოს ხელმძღვანელობას არსებითი უზუსტობის შესწორების მიზნით კონსულტაციისათვის მიმართოს კვალიფიციურ მესამე მხარეს. თუ არსებითი უზუსტობის შესწორება აუცილებელია და ხელმძღვანელობა უარს ამბობს ამაზე, აუდიტორი იხილავს, საჭიროებისამებრ, რა ზომებს უნდა მიმართოს, როგორცაა, მაგალითად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება და იურიდიული კონსულტაცია.

ინფორმირება

38. როდესაც შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის შედეგად აუდიტორისათვის ცნობილი გახდება საკითხი, რომელიც მას დაარწმუნებს, რომ აუცილებელია არსებითი შესწორების შეტანა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში, რათა ის მომზადებული იყოს, ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, აუდიტორმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა აცნობოს ეს საკითხი ხელმძღვანელობის სათანადო დონეს.
39. როდესაც, აუდიტორის აზრით, ხელმძღვანელობა სათანადოდ არ რეაგირებს მიზანშეწონილ დროის პერიოდში, მაშინ აუდიტორმა უნდა მიმართოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. ინფორმირება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად - ან სიტყვიერად, ან წერილობით. აუდიტორის გადაწყვეტილებაზე, სიტყვიერად უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას თუ წერილობით, გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: საკითხის ხასიათი, მნიშვნელობა და მგრძობელობა (სიმძაფრე) და ინფორმირების დრო. თუ ინფორმირება სიტყვიერად ხდება, აუდიტორი დოკუმენტურად აფორმებს ამას.
40. როდესაც, აუდიტორის აზრით, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები მიზანშეწონილ დროის პერიოდში სათანადოდ არ რეაგირებს, აუდიტორმა უნდა განიხილოს:
- ა) საჭიროა თუ არა ანგარიშის მოდიფიცირება; ან
 - ბ) გარიგებიდან გამოსვლის შესაძლებლობა; და
 - გ) წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტორად დანიშვნაზე უარის თქმის შესაძლებლობა.
41. როდესაც შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის შედეგად აუდიტორისათვის ცნობილი გახდება საკითხი, რომელიც მას დაარწმუნებს თაღლითობის არსებობაში ან იმაში, რომ სუბიექტი არღვევს კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, აუდიტორმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა აცნობოს ეს საკითხი ხელმძღვანელობის სათანადო დონეს. ხელმძღვანელობის სათანადო დონის განსაზღვრაზე გავლენას ახდენს ალბათობა იმისა, ადგილი აქვს თუ არა შეთქმულებას ან ხელმძღვანელობის მონაწილეობას თაღლითობაში. აუდიტორი ასევე განიხილავს ამ საკითხების ინფორმირების საჭიროების საკითხს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვისაც და მათ გავლენას მიმოხილვაზე.

42. აუდიტორმა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა აცნობოს შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის შედეგად წამოჭრილი მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩატარების შედეგად აუდიტორისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს ისეთი საკითხები, რომლებიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანიც არის და ამავე დროს შესაფერისიც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, რომელიც ზედამხედველობას უწევს ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნების მომზადების პროცესს. აუდიტორი ამგვარი საკითხების შესახებ აცნობებს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს.

ანგარიშის შედგენა შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის არსზე, მასშტაბსა და შედეგებზე

43. აუდიტორმა უნდა გასცეს წერილობითი ანგარიში, რომელიც შეიცავს:

- ა) სათანადო სათაურს;
- ბ) ადრესატს, რასაც მოითხოვს გარიგების კონკრეტული პირობები;
- გ) იმ შუალედური ფინანსური ინფორმაციის იდენტიფიკაციას, რომლის მიმოხილვაც ჩატარდა, მათ შორის თითოეული ანგარიშგების სახელწოდების მითითებას, რომელიც შედიოდა ფინანსური ანგარიშგების სრულ ან შემოკლებულ კომპლექტში, შუალედური ფინანსური ინფორმაციის თარიღსა და ამ ინფორმაციით მოცულ პერიოდს;
- დ) თუ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შედგება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტისაგან, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად, ასევე იმის აღნიშვნას, რომ სუბიექტის ხელმძღვანელობა არის პასუხისმგებელი შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად;
- ე) სხვა შემთხვევაში იმის აღნიშვნას, რომ ხელმძღვანელობა არის პასუხისმგებელი შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად;
- ვ) იმის აღნიშვნას, რომ აუდიტორი პასუხისმგებელია ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე დასკვნის ჩამოყალიბებაზე;
- ზ) იმის აღნიშვნას, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა ჩატარდა მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (მგსს) 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“ - შესაბამისად; რომ ამგვარი მიმოხილვა მოიცავს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზურ პროცედურებსა და მიმოხილვის სხვა პროცედურებს;
- თ) იმის აღნიშვნას, რომ მიმოხილვის მასშტაბები არსებითად შეზღუდულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებულ აუდიტის მასშტაბებთან შედარებით და, ამდენად, აუდიტორს არ აძლევს ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ მისთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, აუდიტორი არ გამოთქვამს აუდიტორულ მოსაზრებას;
- ი) თუ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შედგება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტისაგან, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების შესაბამისად, დასკვნას იმის შესახებ, მიიქცია თუ არა აუდიტორის ყურადღება ისეთმა რამემ, რაც მას დაარწმუნებდა, რომ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში წარმოდგენილი არ არის უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი, ან შუალედური ფინანსური ინფორმაცია წარდგენილი არ არის სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით ფინანსური ანგარიშ

გების სათანადო საფუძვლების შესაბამისად (მათ შორის იმ იურისდიქციის ან ქვეყნის მითითებასაც, რომლის ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებიც არის გამოყენებული, თუ ეს საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები);

- კ) სხვა შემთხვევაში, დასკვნას იმის შესახებ, მიიქცია თუ არა აუდიტორის ყურადღება ისეთმა რამემ, რაც მას დაარწმუნებდა, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით (მათ შორის იმ იურისდიქციის ან ქვეყნის მითითებასაც, რომლის ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებიც არის გამოყენებული, თუ ეს საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები);
- ლ) ანგარიშის თარიღს;
- მ) აუდიტორის საქმიანობის ადგილს კონკრეტული ქვეყნის ან იურისდიქციის ფარგლებში;
- ნ) აუდიტორის ხელმოწერას.

საილუსტრაციო მიმოხილვის ანგარიშები განხილულია წინამდებარე მგსს-ის მე-4 დანართში.

- 44. ზოგიერთ იურისდიქციაში, შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის მარეგულირებელი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი შეიძლება აუდიტორის დასკვნისთვის ისეთ ტექსტს ადგენდეს, რომელიც განსხვავდება 43 (ი) ან (კ) პუნქტებით განსაზღვრული ტექსტისგან. მართალია, აუდიტორს შეიძლება ევალებოდეს ზემოაღნიშნული დადგენილი ტექსტის გამოყენება, მაგრამ აუდიტორის პასუხისმგებლობა დასკვნის გამოტანაზე არ იცვლება და ისეთივეა, როგორც ეს აღწერილია ამ მგსს-ში.

ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლებიდან გადახვევა

- 45. აუდიტორმა უნდა წარმოადგინოს პირობითი ან უარყოფითი დასკვნა, თუ მისი ყურადღება მიიქცია ისეთმა საკითხმა, რაც დაარწმუნებს, რომ არსებითი შესწორება უნდა იქნეს შეტანილი შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში, რათა ის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებული იყოს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად.
- 46. თუ აუდიტორის ყურადღება მიიქცია ისეთმა საკითხებმა, რაც მას დაარწმუნებს, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია არსებითად არ შეესაბამება ან შეიძლება არ შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლებს და ხელმძღვანელობა არ ასწორებს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას, აუდიტორი გასცემს მოდიფიცირებულ მიმოხილვის ანგარიშს. ანგარიშის მოდიფიცირებულ ნაწილში აღწერილი უნდა იყოს განსხვავების ხასიათი და, თუ შესაძლებელია, მისი გავლენა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე. თუ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში არ აისახება ის ინფორმაცია, რომელიც აუდიტორს აუცილებლად მიაჩნია ადეკვატური განმარტებების გასაკეთებლად, იგი გასცემს მოდიფიცირებულ მიმოხილვის ანგარიშს და, თუ შესაძლებელია, ამ აუცილებელ ინფორმაციას რთავს მიმოხილვის ანგარიშში. მიმოხილვის ანგარიშის მოდიფიკაცია, როგორც წესი, ხდება მიმოხილვის ანგარიშში მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრის დამატებით და პირობითი დასკვნის წარდგენით. პირობითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშის საილუსტრაციო ნიმუშები მოცემულია წინამდებარე მგსს-ის მე-5 დანართში.
- 47. როდესაც ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლებიდან გადახვევის შედეგი იმდენად არსებითია და ყოვლისმომცველი შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით, რომ, აუდიტორის აზრით, პირობითი დასკვნის გაცემით ადეკვატურად ვერ აიხსნება შუალედური ფინანსური ინფორმაციის მცდარი და არასრულყოფილი ხასიათი, აუდიტორი აყალიბებს უარყოფით დასკვნას. უარყოფითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების საილუსტრაციო ნიმუშები მოცემულია წინამდებარე მგსს-ის მე-7 დანართში.

მიმოხილვის მასშტაბის შეზღუდვა

- 48. სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვა, ჩვეულებრივ, ხელს უშლის აუდიტორს მიმოხილვის ჩატარებაში.

49. როდესაც აუდიტორს არა აქვს მიმოხილვის ჩატარების საშუალება, აუდიტორმა წერილობით უნდა აცნობოს ხელმძღვანელობის სათანადო დონეს და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს მიზეზები, რის გამოც შეუძლებელია მიმოხილვის ჩატარება და განიხილოს, მიზანშეწონილია თუ არა ანგარიშის გაცემა.

ხელმძღვანელობის მიზეზით გამოწვეული მიმოხილვის მასშტაბის შეზღუდვა

50. აუდიტორი არ ეთანხმება შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩატარებაზე გარიგებას, თუ მის ხელთარსებული წინასწარი ინფორმაცია მოცემული გარიგების ვითარების შესახებ იმაზე მეტყველებს, რომ იგი ვერ შეძლებს მიმოხილვის ჩატარებას, რადგან ადგილი ექნება მიმოხილვის მასშტაბის შეზღუდვას სუბიექტის ხელმძღვანელობის მხრიდან.
51. თუ გარიგებაზე დათანხმების შემდეგ, ხელმძღვანელობა აიძულებს აუდიტორს მიმოხილვის მასშტაბის შეზღუდვას, აუდიტორი მოითხოვს ამ შეზღუდვის მოხსნას. თუ ხელმძღვანელობა უარს ამბობს ამის გაკეთებაზე, აუდიტორი ვერ შეძლებს მიმოხილვის ჩატარებას და დასკვნის ჩამოყალიბებას. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი წერილობით აცნობებს ხელმძღვანელობის სათანადო დონეს და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს მიზეზს, რის გამოც შეუძლებელია მიმოხილვის ჩატარება. მეორე მხრივ, თუ აუდიტორის ყურადღება მიიქცია ისეთმა საკითხმა, რაც მას დაარწმუნებს, რომ არსებითი შესწორება უნდა იქნეს შეტანილი შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში, რათა ის მომზადებული იყოს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, აუდიტორი ამ საკითხების ინფორმირებას აწარმოებს 38-40 პუნქტებში მოცემული მითითებების შესაბამისად.
52. აუდიტორი ასევე იხილავს საკანონმდებლო და მარეგულირებელი პასუხისმგებლობის საკითხს, მათ შორის, არსებობს თუ არა იმის მოთხოვნა, რომ აუდიტორმა გასცეს ანგარიში. თუ არსებობს ასეთი მოთხოვნა, აუდიტორი მიმოხილვის ანგარიშში უარს აცხადებს დასკვნის წარდგენაზე და ანგარიშში აღწერს მიზეზს, რის გამოც მიმოხილვა ვერ ჩატარდა. ამასთან, თუ აუდიტორის ყურადღება მიიქცია ისეთმა საკითხმა, რაც მას დაარწმუნებს, რომ არსებითი შესწორება უნდა იქნეს შეტანილი შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში, რათა ის მომზადებული იყოს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, აუდიტორი ამ საკითხსაც აშუქებს ანგარიშში.

სხვა სახის მასშტაბის შეზღუდვა

53. მასშტაბის შეზღუდვა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა გარემოებებით და არა ხელმძღვანელობის მიზეზით. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორს, ჩვეულებრივ, არ შეუძლია მიმოხილვის ჩატარება და დასკვნის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობს 51-52-ე პუნქტების მითითებებით. თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, შეიძლება აშკარად ჩანდეს, რომ აუდიტორის სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვა უკავშირდება ერთ ან მეტ სპეციფიკურ საკითხს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არსებითია, ყოვლისმომცველი არ არის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით, აუდიტორის აზრით. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი ადგენს მოდიფიცირებულ მიმოხილვის ანგარიშს და მიუთითებს, რომ იმ საკითხის გარდა, რომელიც აღწერილია მიმოხილვის ანგარიშის მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცში, მიმოხილვა ჩატარდა წინამდებარე მგსს-ის შესაბამისად და აყალიბებს პირობით დასკვნას. პირობითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების საილუსტრაციო ნიმუშები მოცემულია ამ მგსს-ის მე-6 დანართში.
54. აუდიტორს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის მოტივით შეიძლება პირობითი მოსაზრება ჰქონდეს გამოთქმული ბოლო წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორი იხილავს, ისევ არსებობს თუ არა იგივენაირი მასშტაბის შეზღუდვა და თუ ასეა, ითვალისწინებს მის გავლენასაც მიმოხილვის ანგარიშზე.

ფუნქციონირებადი საწარმო და მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა

55. გარკვეულ ვითარებაში, მიმოხილვის ანგარიშს შეიძლება დაემატოს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი ისე, რომ ეს გავლენას არ ახდენდეს აუდიტორის დასკვნაზე, რომელიმე საკითხის წარმოჩენის მიზნით, რომელიც შუალედური ფინანსური ინფორმაციის განმარტებით შენიშვნაში უფრო ფართოდ არის განხილული. ასეთი აბზაცი დასკვნის აბზაცის შემდეგ თავსდება და ჩვეულებრივ იმაზე მიუთითებს, რომ ამ საკითხის გამო დასკვნა პირობითი არ არის.

56. თუ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე დართულია ადეკვატური განმარტებითი შენიშვნები, აუდიტორმა მიმოხილვის ანგარიშს უნდა დაუმატოს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი, რათა წარმოაჩინოს ამა თუ იმ მოვლენასთან ან პირობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვს ბადებდეს სუბიექტის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
57. აუდიტორს შეიძლება წინა აუდიტზე ან მიმოხილვაზე გაცემული ჰქონდეს მოდიფიცირებული ანგარიში მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატებით, ამა თუ იმ მოვლენასთან ან პირობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის წარმოსაჩენად, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვს ბადებდეს სუბიექტის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ აღნიშნული განუსაზღვრელობა ისევ არსებობს და შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე დართულია ადეკვატური განმარტებები შენიშვნის სახით, აუდიტორი მიმდინარე შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზეც წარადგენს მოდიფიცირებულ ანგარიშს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატებით ჯერ ისევ გადაუჭრელი არსებითი განუსაზღვრელობის წარმოსაჩენად.
58. თუ გამოკითხვების ან მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარების შედეგად აუდიტორის ყურადღება მიიქცია ამა თუ იმ მოვლენასთან ან პირობასთან დაკავშირებულმა არსებითმა განუსაზღვრელობამ, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვს ბადებდეს სუბიექტის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას დაერთვის ადეკვატური განმარტებები შენიშვნის სახით, აუდიტორი წარადგენს მოდიფიცირებულ მიმოხილვის ანგარიშს, მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატებით.
59. თუ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე დართულ შენიშვნებში ადეკვატურად არ არის ახსნილი არსებითი განუსაზღვრელობა, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვს ბადებდეს სუბიექტის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, აუდიტორი წარადგენს პირობით ან უარყოფით დასკვნას, საჭიროებისამებრ. ანგარიში უნდა მოიცავდეს სპეციალურ მინიშნებას იმ ფაქტზე, რომ არსებობს არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა.
60. აუდიტორმა უნდა განიხილოს მიმოხილვის ანგარიშის მოდიფიცირების საჭიროების საკითხი სპეციალური აბზაცის დამატებით მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის (ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემის გარდა) წარმოსაჩენად, რომელმაც აუდიტორის ყურადღება მიიქცია, მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია მომავალ მოვლენებზე და შეიძლება გავლენას ახდენდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე.

სხვა მოსაზრებები

61. გარიგების პირობები მოიცავს ხელმძღვანელობის თანხმობას იმაზე, რომ როდესაც შუალედური ფინანსური ინფორმაციის შემცველი რომელიმე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს ინფორმაცია მიმოხილია სუბიექტის აუდიტორმა, მაშინ მიმოხილვის ანგარიშიც უნდა ჩაირთოს ამ დოკუმენტში. თუ ხელმძღვანელობა მიმოხილვის ანგარიშს არ ჩართავს ამ დოკუმენტში, აუდიტორი მსჯელობს, მიმართოს თუ არა იურიდიულ კონსულტაციას მოცემულ ვითარებაში მოქმედების სათანადო კურსის განსასაზღვრად.
62. თუ აუდიტორმა მოდიფიცირებული მიმოხილვის ანგარიში გასცა და ხელმძღვანელობა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას გამოსცემს ისე, რომ არ რთავს მიმოხილვის ანგარიშს შუალედური ფინანსური ინფორმაციის შემცველ დოკუმენტში, აუდიტორი იხილავს, მიმართოს თუ არა იურიდიულ კონსულტაციას მოცემულ ვითარებაში მოქმედების სათანადო კურსის განსასაზღვრად, ასევე იმის შესაძლებლობას, უარი თქვას თუ არა წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში აუდიტორად დანიშვნაზე.
63. შუალედური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების შემოკლებულ კომპლექტს წარმოადგენს, აუცილებელი არ არის, მოიცავდეს ყველა ინფორმაციას, რომელიც ჩართული უნდა ყოფილიყო ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტში, მაგრამ შეიძლება ისეთი მოვლენებისა და ცვლილებების განმარტებას შეიცავდეს, რაც მნიშვნელოვანია წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის

შედეგებში მომხდარი ცვლილებების გასაგებად. იგულისხმება, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელს ხელი მიუწვდება ბოლო აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგალითად, კოტირებული სუბიექტების შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში, აუდიტორი ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ ამგვარ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას დაერთოს განცხადება, რომ ის არ იყოს აღქმული ბოლო აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ამგვარი განცხადების არარსებობის შემთხვევაში, აუდიტორი იხილავს, არის თუ არა შუალედური ფინანსური ინფორმაცია შეცდომაში შემყვანი მოცემულ სიტუაციაში ბოლო აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მინიშნების გარეშე და რა გავლენას ახდენს ეს მიმოხილვის ანგარიშზე.

დოკუმენტაცია

64. აუდიტორმა მიმოხილვისთვის ისეთი დოკუმენტაცია უნდა მოამზადოს, რომელიც საკმარისი და შესაფერისი იქნება აუდიტორის დასკვნის გამოსატანად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად და მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად იმის შესახებ, რომ მიმოხილვა ჩატარდა წინამდებარე მგსს-ისა და სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. მიმოხილვის დოკუმენტაცია გამოცდილ აუდიტორს, რომელიც წინათ დაკავშირებული არ იყო მოცემულ გარიგებასთან, საშუალებას აძლევს, გაერკვეს ჩატარებული გამოკითხვების, ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ხასიათში, ვადებსა და მოცულობაში, შეკრებილ ინფორმაციასა და ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხში, რომელიც განხილული იყო მიმოხილვის მსვლელობისას, მათ შორის, როგორ გადაიჭრა ეს საკითხები.

ძალაში შესვლის თარიღი

65. მოცემული მგსს ძალაში შედის 2006 წ. 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვისათვის. დასაშვებია მოცემული მგსს-ის ვადაზე ადრე გამოყენებაც.

სახელმწიფო სექტორის პერსპექტივა

1. მე-10 პუნქტი მოითხოვს, რომ აუდიტორი და დამკვეთი შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე. მე-11 პუნქტი განმარტავს, რომ გარიგების წერილი ხელს უწყობს გაუგებრობების თავიდან აცილებას გარიგების ხასიათისა და, კერძოდ, მიმოხილვის მიზნისა და მასშტაბების, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის, აუდიტორის პასუხისმგებლობის ხარისხის, მოპოვებული რწმუნების, ანგარიშის ხასიათისა და ფორმის შესახებ. მიმოხილვის გარიგებების მარეგულირებელი კანონი და სხვა ნორმატიული აქტი სახელმწიფო სექტორში, ჩვეულებრივ, სავალდებულოს ხდის აუდიტორის დანიშვნას. შესაბამისად, სახელმწიფო სექტორში გარიგების წერილის გამოყენება შეიძლება არ იყოს გავრცელებული პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, გარიგების წერილი, რომელშიც შეტანილია მე-11 პუნქტში განხილული საკითხები, შეიძლება სასარგებლო იყოს სახელმწიფო სექტორის აუდიტორისთვისაც და მისი დამკვეთისათვის. ამიტომ, სახელმწიფო სექტორის აუდიტორები დამკვეთთან მიმოხილვის გარიგების პირობების შესათანხმებლად იხილავენ გარიგების წერილის გამოყენების საკითხს.
2. სახელმწიფო სექტორში, აუდიტორის ვალდებულებები სავალდებულო აუდიტში შეიძლება გავრცელდეს ისეთ სამუშაომდეც, როგორცაა შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო სექტორის აუდიტორი თავიდან ვერ აიცილებს ვალდებულებას და, შესაბამისად, შეიძლება არ ჰქონდეს იმის საშუალება, რომ არ დაეთანხმოს მიმოხილვის გარიგებას (იხ. პ. 50) ან გამოვიდეს გარიგებიდან (იხ. პუნქტები 36-ე და 40 (ბ)). სახელმწიფო სექტორის აუდიტორს შესაძლოა არც წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე უარის თქმა შეეძლოს (იხ. პუნქტები 40 (გ) და 62-ე).
3. 41-ე პუნქტში განხილულია, რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს, როდესაც აუდიტორის ყურადღებას მიიქცევს ისეთი საკითხი, რომელიც მას დაარწმუნებს თაღლითობის არსებობაში, ან სუბიექტის მიერ კანონების ან სხვა ნორმატიული აქტების დარღვევაში. სახელმწიფო სექტორში, აუდიტორი შეიძლება ექვემდებარებოდეს საკანონმდებლო ან სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებს, რომელიც ითვალისწინებს ამგვარ საკითხზე ანგარიშის ჩაბარებას მარეგულირებელი ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურისათვის.

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის შესახებ გარიგების წერილის ნიმუში

შემდეგი წერილი გამოიყენება სახელმძღვანელოდ მოცემული მგსს-ის მე-10 პუნქტის საკითხებთან დაკავშირებით; მისი შეცვლა საჭირო იქნება ინდივიდუალური მოთხოვნებისა და გარემოებების შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს (ან ზედა რგოლების ხელმძღვანელი პერსონალის სხვა შესაფერის წარმომადგენელს):

ამ წერილით ვადასტურებთ, რომ ჩვენთვის გასაგებია ჩვენი გარიგების პირობები და მიზნები, რომელიც ითვალისწინებს სუბიექტის 20X1 წ. 30 ივნისის შუალედური ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის შესაბამისი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიმოხილვას.

მიმოხილვას ჩავატარებთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (მგსს) 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“ - შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა იმ მიზნით, რომ გვექონოდა საფუძველი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად იმის შესახებ, მიიქცია თუ არა ჩვენი ყურადღება ისეთმა რამემ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით (მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისად. ამგვარი მიმოხილვა ითვალისწინებს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების გამოყენებას და, ჩვეულებრივ, არ მოითხოვს მოპოვებული ინფორმაციის დადასტურებას. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის, რომლის მიზანია მოსაზრების გამოთქმა ფინანსური ანგარიშგების შესახებ. შესაბამისად, არ გამოვთქვამთ აუდიტორულ მოსაზრებას.

ჩვენი ვარაუდით, შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენი ანგარიში შემდეგი სახის იქნება:

[ჩართეთ ანგარიშის სანიმუშო ტექსტი]

შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, მათ შორის, ადეკვატური განმარტებითი შენიშვნების მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სუბიექტის ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ისეთი შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენის ადეკვატური შიდა კონტროლის დაპროექტებას, დანერგვასა და ფუნქციონირებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; ასევე სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას, მოცემული სიტუაციისთვის გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას. ჩვენ ხელმძღვანელობისაგან მოვითხოვთ ოფიციალურ წერილობით ინფორმაციას მიმოხილვასთან დაკავშირებით მომზადებული ხელმძღვანელობის მტკიცებების შესახებ, ვინაიდან ამას ითვალისწინებს მიმოხილვის პროცესი. როდესაც შუალედური ფინანსური ინფორმაციის შემცველ რომელიმე დოკუმენტში მითითებული იქნება, რომ ჩატარდა შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა, ასევე მოვითხოვთ, რომ ამ დოკუმენტს დაერთოს ჩვენი ანგარიშიც.

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა არ იძლევა იმის რწმუნებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. გარდა ამისა, ჩვენი გარიგება არ გულისხმობს თაღლითობას ან შეცდომების, ან სამართალდარღვევის შემთხვე-

ვების გამოვლენას. მიუხედავად ამისა, ჩვენ გაცნობებთ ნებისმიერი არსებითი საკითხის შესახებ, რომელიც მიიქცევს ჩვენ ყურადღებას.

მოუთმენლად ველით თქვენთან თანამშრომლობას და გვწამს, რომ თქვენი თანამშრომლები ჩვენთვის ხელმისაწვდომს გახდიან ყველა მონაცემს, დოკუმენტაციასა და სხვა ინფორმაციას, რომელსაც მოვითხოვთ მიმოხილვასთან დაკავშირებით.

[აქ ჩართეთ სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება ანაზღაურებისა და ანგარიშსწორების საკითხებს, საჭიროებისამებრ].

ეს წერილი მომავალ წლებშიც დარჩება ძალაში, სანამ არ გაუქმდება, შესწორდება ან არ შეიცვლება სხვა წერილით (საჭიროების შემთხვევაში).

გთხოვთ ხელი მოაწეროთ წერილს და დაგვიბრუნოთ ასლი იმის დასტურად, რომ იგი შეესაბამება თქვენს თვალსაზრისს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ.

XYZ & Co

... ABC სუბიექტის სახელით ვადასტურებ

(ხელმოწერა)

სახელი, გვარი და თანამდებობა

თარიღი

ანალიზური პროცედურები, რომლის გათვალისწინებაც აუდიტორს შეუძლია შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დროს

ანალიზური პროცედურები, რომლის გათვალისწინებაც აუდიტორს შეუძლია შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დროს, მოიცავს:

- შუალედური ფინანსური ინფორმაციის შედარებას უშუალოდ წინა შუალედური პერიოდის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან, წინა ფინანსური წლის შესაბამისი შუალედური პერიოდის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან, მიმდინარე წლისთვის ხელმძღვანელობის მიერ პროგნოზირებულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან და ბოლო აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მიმდინარე შუალედური ფინანსური ინფორმაციის შედარებას პროგნოზირებულ შედეგებთან, როგორცაა, მაგალითად, ბიუჯეტები ან მოკლევადიანი პროგნოზები (მაგალითად, მიმდინარე შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში მოცემული საგადასახადო ნაშთებისა და მოგების გადასახადის ანარიცხებსა და დაბეგვრამდელ შემოსავალს შორის არსებული თანაფარდობის შედარება (ა) ბიუჯეტების შესაბამის ინფორმაციასთან, მოსალოდნელი განაკვეთების გამოყენებით და (ბ) წინა პერიოდების შესაბამის ფინანსურ ინფორმაციასთან);
- მიმდინარე შუალედური ფინანსური ინფორმაციის შედარებას შესაფერის არაფინანსურ ინფორმაციასთან;
- აღრიცხული თანხების ან აღრიცხული თანხებიდან გამოთვლილი კოეფიციენტების შედარებას აუდიტორის მიერ გამოთვლილ მოსალოდნელ შედეგებთან (აუდიტორული „ლოდინი“). აუდიტორი ამგვარ მოსალოდნელ შედეგებს ითვლის ისეთი თანაფარდობების დადგენითა და გამოყენებით, რომელთა არსებობაც გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია აუდიტორის ინფორმირებულობის ფარგლებში სუბიექტისა და იმ დარგის შესახებ, რომელშიც ის საქმიანობს;
- მიმდინარე შუალედური პერიოდის კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების შედარება იმავე დარგის სხვა სუბიექტების ანალოგიურ მონაცემებთან;
- მიმდინარე შუალედური ფინანსური ინფორმაციის ელემენტებს შორის არსებული თანაფარდობების შედარებას წინა პერიოდების შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესაბამის თანაფარდობებთან, მაგალითად, ხარჯები, როგორც გაყიდვების მიმართ პროცენტული თანაფარდობა სახეების მიხედვით; აქტივები, როგორც მთლიანი აქტივების მიმართ პროცენტული თანაფარდობა სახეების მიხედვით და პროცენტებში გამოსახული გაყიდვების ცვლილების თანაფარდობა პროცენტებში გამოსახულ მოთხოვნების ცვლილებებთან;
- დეზაგრეგირებული მონაცემების შედარება. ქვემოთ განხილულია მაგალითები, როგორ შეიძლება განხორციელდეს მონაცემების დეზაგრეგირება:
 - პერიოდის მიხედვით, ვთქვათ, ამონაგების ან ხარჯების მუხლები დაიშლება კვარტალურ, თვიურ ან კვირის თანხებად;
 - პროდუქციის სახეობის მიხედვით ან ამონაგების წყაროების მიხედვით;
 - ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგალითად, სუბიექტის კომპონენტების;
 - სამეურნეო ოპერაციის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, მაგალითად, დიზაინერების, არქიტექტორების ან ხელოსნის მიერ შექმნილი ამონაგები;
 - სამეურნეო ოპერაციის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, მაგალითად, გაყიდვები პროდუქციის სახეებისა და თვეების მიხედვით.

ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის ნიმუში

წარმოდგენილი წერილი არ არის სტანდარტული. ხელმძღვანელობის წერილი სხვადასხვა სუბიექტ-სათვის სხვადასხვანაირი იქნება, ასევე განსხვავებული იქნება სხვადასხვა შუალედური პერიოდისთვის შედგენილი წერილიც.

(სუბიექტის სატიტულო ფურცელი)

(აუდიტორს)

(თარიღი)

შესავალი აბზაცები, თუ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შედგება შემოკლებული ფინანსური ანგარიშგებებისაგან:

წინამდებარე ოფიციალურ წერილს წარმოგიდგენთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის შემოკლებული ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვლიანი პერიოდის შესაბამისი შემოკლებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიმოხილვასთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ ატარებთ, რათა წარმოადგინოთ დასკვნა, ხომ არ მიიქცია თქვენი ყურადღება ისეთმა რამემ, რაც დაგარწმუნებდათ, რომ შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

ვალდარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე (მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები) შესაბამისად.

შესავალი აბზაცები, თუ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შედგება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტისაგან, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად:

წინამდებარე ოფიციალურ წერილს წარმოგიდგენთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვლიანი პერიოდის შესაბამისი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვასთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ ატარებთ, რათა წარმოადგინოთ დასკვნა, ხომ არ მიიქცია თქვენი ყურადღება ისეთმა რამემ, რაც დაგარწმუნებდათ, რომ შუალედური ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს („ან სამართლიანად არ ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“) ABC სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 მარტის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

ვალდარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას შუალედური ფინანსური ინფორმაციის სამართლიან წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად.

ჩვენი ცოდნისა და ნდობის ფარგლებში ვადასტურებთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელიც განხილულია ქვემოთ:

- ზემოაღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადებული და წარდგენილია [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად.
- ჩვენ ხელმისაწვდომი გავხადეთ თქვენთვის ყველანაირი საბუღალტრო წიგნი და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აქციონერთა და ღირებულებების საბჭოს კრებების (სხდომების) ოქმები (სახელდობრ, [მიუთითეთ სათანადო თარიღები]);
- არ არსებობს ისეთი არსებითი სამეურნეო ოპერაცია, რომელიც სათანადოდ არ აღირიცხა საბუღალტრო რეგისტრებში, რომლებიც საფუძვლად უდევს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას;
- ადგილი არ ჰქონია კანონებთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან ჩვენთვის ცნობილ ფაქტობრივ ან შესაძლო შეუსაბამობას, რასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, თუ კანონდარღვევა დაფიქსირდებოდა;
- ვაღიარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას სათანადო შიდა კონტროლის დანერგვასა და ფუნქციონირებაზე თაღლითობისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად;
- ჩვენ გაგიმხილეთ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ეხება ცნობილ ან საეჭვო თაღლითობის შემთხვევებს, რომელსაც შეეძლო გავლენის მოხდენა სუბიექტზე;
- ჩვენ გაგიმხილეთ ჩვენს მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ შუალედური ფინანსური ინფორმაცია შეიძლება არსებითად მცდარი იყოს თაღლითობის გამო;
- ჩვენი აზრით, შეუსწორებელი უზუსტობების გავლენის შედეგები, რომლებიც შეჯამებულია თანდართულ დანართებში, არსებითი არ არის არც ცალ-ცალკე და არც ერთად აღებული მთლიანად შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებით;
- ვადასტურებთ თქვენთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულეს დაკავშირებული მხარეების დადგენასთან მიმართებით;
- ქვემოთ მოცემული ინფორმაცია სათანადოდ არის აღრიცხვაში ასახული და, საჭიროების შემთხვევაში, ადეკვატურად ახსნილი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში:
 - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, მათ შორის გაყიდვები, შესყიდვები, სესხები, ტრანსფერები, საიჯარო შეთანხმებები და გარანტიები, ასევე დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები მოთხოვნები და მათთვის გადასახდელი ვალდებულებები;
 - წერილობით ან სიტყვიერად გაცემული გარანტიები, რომელთა გამო სუბიექტს პირობითი ვალდებულება ეკისრება; და
 - ადრე გაყიდული აქტივების უკან გამოსყიდვის ხელშეკრულებები და ოფციონები.
- აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებების წარდგენა და ახსნა-განმარტება შეესაბამება [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები]. გამოყენებული დაშვებები ასახავს ჩვენს განზრახვასა და შესაძლებლობას, გავატაროთ სათანადო ზომები სუბიექტის სახელით, როდესაც ამის გაკეთება საჭიროა სამართლიანი ღირებულებით შეფასებების ან განმარტებითი შენიშვნებისათვის;
- ჩვენ არა გვაქვს რაიმე ისეთი გეგმა ან განზრახვა, რაც არსებითად შეცვლიდა შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას ან მათ კლასიფიკაციას;
- არა გვაქვს დაგეგმილი პროდუქციის რომელიმე სახეობის გამოშვების შეწყვეტა ან სხვა ისეთი განზრახვა, რომელიც გამოიწვევდა მარაგის სიჭარბეს ან ნაკლებობას. ამასთანავე მარაგის არც ერთი სახეობა არ არის შეფასებული ნეტო გასაყიდ ღირებულებაზე მეტი თანხით;

სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული
შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

- კომპანიის ყველა აქტივს მინიჭებული აქვს შესაფერისი სახელწოდება. ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას ან სხვა სირთულეებს;
- ყველა ვალდებულება, ფაქტობრივად და პირობითად, სწორად გვაქვს ბუღალტრულად აღრიცხული და გაშუქებული ფინანსურ ანგარიშგებაში.
- [ჩართეთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ახალ სააღრიცხვო სტანდარტებთან, რომლებიც პირველად უნდა დაინერგოს. ასევე გაითვალისწინეთ დამატებით სხვა ინფორმაციაც, რომელიც მოითხოვება ახალი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტით და შეეფერება შუალედურ ფინანსურ ინფორმაციას].

ჩვენი ცოდნისა და ნდობის ფარგლებში ვადასტურებთ, რომ ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ ამ წერილის თარიღამდე არ მომხდარა არანაირი ისეთი მოვლენა, რომლის გამოც საჭირო იქნებოდა ზემოხსენებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორება ან მასზე სათანადო განმარტებების დართვა შენიშვნების სახით.

(უფროსი აღმასრულებელი მუშაკი)

(უფროსი ფინანსური მუშაკი)

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიშის ნიმუშები

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად (იხ. პ. 43 (ი))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდის შესაბამისი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა¹. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“² - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვების ჩატარებას, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, მიმოხილვა არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღების საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას;

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს (ან „სამართლიანად არ ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“) სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 მარტის მდგომარეობით და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდისთვის მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

1. აუდიტორმა შეიძლება მოისურვოს მარეგულირებელი ან სხვა ეკვივალენტური ორგანოს კონკრეტულად მითითება, ვისთვისაც მომზადდა შუალედური ფინანსური ინფორმაცია.

2. თუ მიმოხილვა ეხება გასული პერიოდის ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც არ არის შუალედური ფინანსური ინფორმაცია, ეს წინადადება ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის შესაბამისად, რომელიც ეხება სიბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებულ გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას“. დასკვნის დანარჩენი ტექსტიც, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს გარემოებების შესაბამისად.

სხვა შუალედური ფინანსური ინფორმაცია (იხ. პ.43 (კ))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის [შემოკლებული] ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვლიანი პერიოდის შესაბამისი [შემოკლებული] მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიმოხილვა³. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“⁴ - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას;

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

³ იხ. 1-ლი სქოლიო.

⁴ იხ. მე-2 სქოლიო.

**ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებიდან გადახვევით
გამოწვეული პირობითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები**

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად (იხ. პ. 43 (ი))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდის შესაბამისი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა¹. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“² - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას.

პირობითი დასკვნის საფუძველი

ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამოჩნდა, რომ ABC სუბიექტმა ქონებიდან და გრძელვადიანი ვალიდან გამორიცხა გარკვეული საიჯარო ვალდებულებები, რაც, ჩვენი აზრით, კაპიტალიზებული უნდა ყოფილიყო [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, რომ თუ საიჯარო ვალდებულებები კაპიტალიზებული იქნებოდა 20X1 წლის 31 მარტისათვის, ქონების ღირებულება გაიზრდებოდა _____ აშშ დოლარით, გრძელვადიანი ვალი _____ აშშ დოლარით, ხოლო წმინდა შემოსავალი და ერთ აქციაზე შემოსავალი გაიზრდებოდა (შემცირდებოდა) შესაბამისად _____ აშშ დოლარითა და _____ აშშ დოლარით ზემოაღნიშნულ სამთვიან პერიოდში.

¹. იხ. მე-4 დანართის 1-ლი სქოლიო.

². იხ. მე-4 დანართის მე-2 სქოლიო.

პირობითი დასკვნა

გარდა წინა აბზაცში განხილული საკითხისა, ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, არ შეგვხვდრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს (ან „სამართლიანად არ ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“) სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 მარტის მდგომარეობით და ამ თარიღით დამთავრებული სამთვლიანი პერიოდისთვის მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

სხვა შუალედური ფინანსური ინფორმაცია (იხ. პ.43 (კ))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის [შემოკლებული] ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდის შესაბამისი [შემოკლებული] მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიმოხილვა³. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“⁴ - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას;

პირობითი დასკვნის საფუძველი

ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამოჩნდა, რომ ABC სუბიექტმა ქონებიდან და გრძელვადიანი ვალიდან გამორიცხა გარკვეული საიჯარო ვალდებულებები, რაც, ჩვენი აზრით, კაპიტალიზებული უნდა ყოფილიყო [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია იმაზე მეტყველებს, რომ თუ საიჯარო ვალდებულებები კაპიტალიზებული იქნებოდა 20X1 წლის 31 მარტისათვის, ქონების ღირებულება გაიზრდებოდა _____აშშ დოლარით, გრძელვადიანი ვალი _____აშშ დოლარით, ხოლო წმინდა შემოსავალი და ერთ აქციაზე შემოსავალი გაიზრდებოდა (შემცირდებოდა) შესაბამისად _____აშშ დოლარითა და _____აშშ დოლარით ზემოაღნიშნულ სამთვიან პერიოდში.

პირობითი დასკვნა

გარდა წინა აბზაცში განხილული საკითხისა, ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

3. იხ. მე-4 დანართის 1-ლი სქოლიო.

4. იხ. მე-4 დანართის მე-2 სქოლიო.

პირობითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები, გაცემული მიმოხილვის მასშტაბის შეზღუდვის ნიადაგზე, რაც გამოწვეული არ არის ხელმძღვანელობის მიერ

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად (იხ. პ. 43 (ი))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდის შესაბამისი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა¹. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

გარდა იმისა, რასაც განვმარტავთ მომდევნო აბზაცში, მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“² - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას;

პირობითი დასკვნის საფუძველი

ერთ-ერთი ფილიალის ოფისში (თარიღი) გაჩენილი ხანძრის გამო განადგურდა ფილიალის მოთხოვნების ანგარიშების ჩანაწერები, რის გამოც ვერ ჩავატარეთ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში ჩართული _____ აშშ დოლარის სიდიდის მოთხოვნების ანგარიშების მიმოხილვა. ამჟამად სუბიექტი აწარმოებს მოთხოვნების ანგარიშების ჩანაწერების აღდგენას და გაურკვეველია, ზემოაღნიშნული თანხა და მასთან დაკავშირებული საექვო ვალების ანარიცხები დამტკიცდება თუ არა ამ ჩანაწერებით. თუ შევძლებდით მოთხოვნების ანგარიშების მიმოხილვის ჩატარებას, შეიძლება ჩვენი ყურადღება მიექცია ისეთ საკითხებს, რომელიც გვიჩვენებდა, რომ აუცილებელი იყო შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორება.

1. იხ. მე-4 დანართის 1-ლი სქოლიო.

2. იხ. მე-4 დანართის მე-2 სქოლიო.

პირობითი დასკვნა

გარდა შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორებებისა, რომელსაც შეიძლება საჭიროდ მივიჩნევდით, რომ არ მომხდარიყო წინა აბზაცში აღწერილი შემთხვევა, ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს (ან „სამართლიანად არ ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“), სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 მარტის მდგომარეობით და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდისთვის მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

სხვა შუალედური ფინანსური ინფორმაცია (იხ. პ.43 (კ))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში
(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის [შემოკლებული] ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდის შესაბამისი [შემოკლებული] მოგებისა და ზარალის ანგარიშების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშების მიმოხილვა³. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

გარდა იმისა, რასაც განვმარტავთ მომდევნო აბზაცში, მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“⁴ - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას.

პირობითი დასკვნის საფუძველი

ერთ-ერთი ფილიალის ოფისში (თარიღი) გაჩენილი ხანძრის გამო განადგურდა ფილიალის მოთხოვნების ანგარიშების ჩანაწერები, რის გამოც ვერ ჩავატარეთ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაში ჩართული _____ აშშ დოლარის სიდიდის მოთხოვნების ანგარიშების მიმოხილვა. ამჟამად სუბიექტი აწარმოებს მოთხოვნების ანგარიშების ჩანაწერების აღდგენას და გაურკვეველია, ზემოაღნიშნული თანხა და მასთან დაკავშირებული საეჭვო ვალების ანარიცხები დამტკიცდება თუ არა ამ ჩანაწერებით. თუ შევძლებდით მოთხოვნების ანგარიშების მიმოხილვის ჩატარებას, შეიძლება ჩვენი ყურადღება მიექცია ისეთ საკითხებს, რომელიც გვიჩვენებდა, რომ აუცილებელი იყო შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორება.

პირობითი დასკვნა

გარდა შუალედური ფინანსური ინფორმაციის შესწორებებისა, რომელსაც შეიძლება საჭიროდ მივიჩნევდით, რომ არ მომხდარიყო წინა აბზაცში აღწერილი შემთხვევა, ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

³ იხ. მე-4 დანართის 1-ლი სქოლიო.

⁴ იხ. მე-4 დანართის მე-2 სქოლიო.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებიდან გადახვევით გამოწვეული უარყოფითი დასკვნის შემცველი მიმოხილვის ანგარიშების ნიმუშები

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის მისაღწევად განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად (იხ. პ. 43 (ი))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვიანი პერიოდის შესაბამისი მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა¹. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“² - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი მნიშვნელოვნად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას.

უარყოფითი დასკვნის საფუძველი

ზემოაღნიშნული პერიოდის დასაწყისში სუბიექტის ხელმძღვანელობამ შეწყვიტა თავისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაცია, ვინაიდან ხელმძღვანელობამ კონსოლიდაცია მიზანშეუწონლად მიიჩნია ახალი მნიშვნელოვანი არაკონტროლირებადი წილების არსებობის გამო. ეს არ შეესაბამება [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები]. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდებოდა, ფაქტობრივად, შუალედური ფინანსური ინფორმაციის ყველა ანგარიში არსებითად სხვანაირი იქნებოდა.

უარყოფითი დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვიდან ჩანს, რომ ვინაიდან სუბიექტის კუთვნილი ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღრიცხული არ არის კონსოლიდირებულ საფუძველზე, როგორც წინა აბზაცში აღვწერთ, წინამდებარე შუალედური ფინანსური ინფორმაცია უტყუარად და სამართლიანად

¹. იხ. მე-4 დანართის 1-ლი სქოლიო.

². იხ. მე-4 დანართის მე-2 სქოლიო.

სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული
შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

არ ასახავს (ან „სამართლიანად არ ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“) სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 მარტის მდგომარეობით და ამ თარიღით დამთავრებული სამთვლიანი პერიოდისთვის მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

სხვა შუალედური ფინანსური ინფორმაცია (იხ. პ.43 (კ))

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ანგარიში

(შესაბამისი ადრესატი)

შესავალი

ჩავატარეთ ABC სუბიექტის 20X1 წლის 31 მარტის [შემოკლებული] ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული სამთვლიანი პერიოდის შესაბამისი [შემოკლებული] მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიმოხილვა³. ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები] შესაბამისად პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - „სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა“⁴ - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვავთ აუდიტორულ მოსაზრებას.

უარყოფითი დასკვნის საფუძველი

ზემოაღნიშნული პერიოდის დასაწყისში სუბიექტის ხელმძღვანელობამ შეწყვიტა თავისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაცია, ვინაიდან ხელმძღვანელობამ კონსოლიდაცია მიზანშეუწონლად მიიჩნია ახალი მნიშვნელოვანი არაკონტროლირებადი წილების არსებობის გამო. ეს არ შეესაბამება [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები]. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდებოდა, ფაქტობრივად, შუალედური ფინანსური ინფორმაციის ყველა ანგარიში არსებითად სხვანაირი იქნებოდა.

უარყოფითი დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვიდან ჩანს, რომ ვინაიდან სუბიექტის კუთვნილი ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღრიცხული არ არის კონსოლიდირებულ საფუძველზე, როგორც წინა აბზაცში აღვწერეთ, წინამდებარე შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით [მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლები და მისი გამომცემელი იურისდიქცია ან ქვეყანა, როდესაც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები არ არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები] შესაბამისად.

აუდიტორი

თარიღი

მისამართი

³. იხ. მე-4 დანართის 1-ლი სქოლიო.

⁴. იხ. მე-4 დანართის მე-2 სქოლიო.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® ანუ IFAC® ხელს უწყობს IAASB-ს ორგანიზაციული სტრუქტურისა და იმ პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ს საქმიანობა.

IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

International Standards on Auditing (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Assurance Engagements (მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Review Engagements (მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Related Services (აუდიტთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Quality Control (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს), International Auditing Practice Notes (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შენიშვნებს), განსახილველ პროექტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IAASB-ს სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

საავტორო უფლება © 2021 წლის აპრილი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია. პირადი ან არაკომერციული სარგებლობისთვის (ე.ი. პროფესიული ან კვლევის მიზნებისთვის) შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოს ორიგინალური ვერსიის უფასოდ გადმოწერა, ან ყიდვა www.iaasb.org ვებგვერდის მეშვეობით. ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია IFAC-ის წერილობითი ნებართვა.

The 'International Auditing and Assurance Standards Board', 'International Standards on Auditing', 'International Standards on Assurance Engagements', 'International Standards on Review Engagements', 'International Standards on Related Services', 'International Standards on Quality Control', 'International Auditing Practice Notes', 'IAASB', 'ISA', 'ISAE', 'ISRE', 'ISRS', 'ISQC', 'IAPN' და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ permissions ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.



529 Fifth Avenue, New York, NY 10017

T+1(212) 286-9344 F+1(212) 286-9570

www.iaasb.org

ISBN: 978-1-60815-498-2